

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №89/ნ

2010 წლის 14 სექტემბერი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 32-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის № 37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით შეიქმნას საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანდართული დებულება.
3. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 27 მარტის № 222 ბრძანება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშვინი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულება

[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №165/ნ - ვებგვერდი, 31.12.2014წ.](#)
[საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №175/ნ - ვებგვერდი, 29.12.2016წ.](#)

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში – ცენტრი) იქმნება განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.
2. ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი.
3. ცენტრი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი მუშაობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.
4. ცენტრი თავისი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, გამოდის სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში.
5. ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ან/და სახაზინო ანგარიში, ლოგო, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
6. ცენტრის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0193, ალექსიძის ქ. №1.

თავი II

ცენტრის მიზნები და ფუნქციები

მუხლი 2. ცენტრის მიზნები



ცენტრის მიზნებია:

- ა) საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობით განათლების ხარისხის შიდა მექანიზმების ფორმირების ხელშეწყობა, გარე მექანიზმების განხორციელება და მათ შემდგომ სრულყოფაზე ზრუნვა;
- ბ) მოსწავლეთა, პროფესიულ სტუდენტთა, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის თავისუფალი გადაადგილების ხელშეწყობა სწავლის, სწავლების, კვლევისა და დასაქმების მიზნით როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ;
- გ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
- დ) საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციის ხელშეწყობა და მათ მიმართ ნდობის ამაღლება.

მუხლი 3. ცენტრის ფუნქციები

ამ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ცენტრი:

- ა) ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციასა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას, მონიტორინგის განხორციელების გზით კონტროლს უწევს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების დაცვას;
- ბ) ახორციელებს ავტორიზაციის, აკრედიტაციის და პროფესიული სტანდარტების შემუშავებას და მუდმივ სრულყოფას;
- ბ¹) უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მართვასა და განვითარებას;
- გ) ახორციელებს დარგობრივი მახასიათებლების, პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების შემუშავებისა და განვითარების მიზნით პროფესიული და უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოების/სამუშაო ჯგუფების ფორმირებას და მათი საქმიანობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
- დ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის კულტურის განვითარების მიზნით შეიმუშავებს რეკომენდაციებს, ახორციელებს განმავითარებელ შეფასებებს, მართავს ტრენინგებს, სემინარებს, კონფერენციებს;
- ე) ეწევა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საკონსულტაციო მომსახურებას, გეგმავს და ახორციელებს მხარდაჭერ ღონისძიებებს;
- ვ) ახდენს განათლების აღიარებას და საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებას;
- ზ) აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს;
- თ) ახორციელებს მობილობის პროცესის ადმინისტრირებას;
- ი) ამოწმებს განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ენობრივ სისწორეს;
- კ) ახორციელებს დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას;
- ლ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №78/ნ - ვებგვერდი, 31.05.2018წ.

თავი III ცენტრის მართვა და სტრუქტურა

მუხლი 4. ცენტრის მართვა

1. ცენტრის მართვის ორგანოებია:

- ა) დირექტორი;
 - ბ) საკოორდინაციო საბჭო.
2. ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრთან შეთანხმებით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი (შემდგომში – მინისტრი).
3. დირექტორს ჰყავს მოადგილე/მოადგილეები, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი მინისტრთან შეთანხმებით. ცენტრის დირექტორის არყოფნის ან მის მიერ დირექტორის უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მიერ განსაზღვრული ცენტრის თანამშრომელი.
- 3¹. დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული დირექტორის მოადგილე.
4. დირექტორის მოადგილის ფუნქციებს განსაზღვრავს დირექტორი.
5. საკოორდინაციო საბჭო არის ცენტრის მართვისა და განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კოლექტიური ორგანო.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №78/ნ - ვებგვერდი, 31.05.2018წ.
საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2018 წლის 14 სექტემბრის ბრძანება №35/ნ - ვებგვერდი, 14.09.2018წ.

მუხლი 5. ცენტრის დირექტორის უფლება-მოვალეობები

1. ცენტრის დირექტორი:



- ა) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს ცენტრის მართვას, სტრუქტურული ერთეულების კოორდინაციას და წარმოადგენს ცენტრს;
 - ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს;
 - გ) განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულების/ქვედანაყოფების ფუნქცია-მოვალეობებს, ანაწილებს მოვალეობებს ცენტრის თანამშრომლებს შორის, აძლევს მათ სათანადო მითითებებსა და დავალებებს, ახდენს უფლებამოსილებათა დელეგირებას;
 - დ) ცენტრის თანამშრომელთა მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს; უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცენტრის თანამშრომლებზე გასცეს სახელფასო დანამატი;
 - ე) აკონტროლებს ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;
 - ვ) ამტკიცებს ცენტრის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს;
 - ზ) (ამოღებულია - 28.12.2017, №207/ზ);
 - თ) ამტკიცებს ინფორმაციული უსაფრთხოების შინასამსახურებრივი გამოყენების წესებს, რომლებიც ემსახურება ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის ჩამოყალიბებას, დანერგვას, ფუნქციონირებას, ზედამხედველობას, მხარდაჭერასა და გაუმჯობესებას და განსაზღვრავს ორგანიზაციის ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკას;
 - ი) ცენტრის ფუნქციებიდან გამომდინარე, გასცემს წარმომადგენლობის დამადასტურებელ დოკუმენტს;
 - კ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცხადებს კონკურსებს და ქმნის საკონკურსო კომისიას;
 - ლ) უფლებამოსილია, ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, დამატებითი/დეტალური რეგულაციის საჭიროების შემთხვევაში, საკუთარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს შესაბამისი საკითხის მომწესრიგებელი წესი/წესები, რომლებიც არ იქნება წინააღმდეგობაში საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან;
 - მ) უფლებამოსილია, ცენტრის კომპეტენციების ფარგლებში განსახორციელებელი ქმედებების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ცალკეული საკითხების შესასწავლად, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მოსამზადებლად შექმნას დარგობრივი საბჭოები, კომისიები ან/და სხვა საკონსულტაციო ორგანოები, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დაამტკიცოს მათი საქმიანობის წესი;
 - ნ) კანონმდებლობის შესაბამისად, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;
 - ო) სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს ცენტრის სამტატო განრიგს;
 - პ) ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს და საქმისწარმოების წესს;
 - ჟ) მინისტრს წარუდგენს ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს;
 - რ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, მთავრობასთან ათანხმებს შესაბამისი ბიუჯეტის პროექტს, სამტატო ნუსხასა და სახელფასო ფონდს;
 - ს) ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.
2. დირექტორი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პასუხისმგებელია ცენტრის საქმიანობის კანონიერებაზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №153/ზ - ვებგვერდი, 31.08.2017წ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ზ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 5¹. საკოორდინაციო საბჭო

1. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს 2 წლის ვადით ნიშნავს მინისტრი ცენტრის დირექტორის წარდგინებით.
2. საკოორდინაციო საბჭო შედგება არანაკლებ 5 და არაუმეტეს 13 წევრისაგან. საკოორდინაციო საბჭოს წევრად პირი შეიძლება დაინიშნოს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.
3. საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდნენ: სამინისტროს წარმომადგენელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმითა და კერძო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელები, დამსაქმებელთა და სამოქალაქო (არასამთავრობო) სექტორის წარმომადგენლები, განათლების მიმართულელებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე უცხოელი სპეციალისტები და სხვა პირები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება მნიშვნელოვანი იქნება ცენტრის საქმიანობის განვითარებისათვის.
4. საკოორდინაციო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს ცენტრის დირექტორი ან ცენტრის სხვა თანამშრომელი.
5. საკოორდინაციო საბჭო განიხილავს:
 - ა) ცენტრის სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმებს, შეიმუშავებს წინადადებებს მათში შესატანი ცვლილებებისა და ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ;
 - ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებსა და პროცედურებს, შეიმუშავებს წინადადებებს მათი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
 - გ) ცენტრის საქმიანობის ანგარიშებს და ცენტრის ბიუჯეტის პროექტს;
 - დ) ცენტრის საქმიანობის გარე შეფასების შედეგებს;
 - ე) განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულელებით საერთაშორისო თანამშრომლობის შესაძლებლობებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.
6. საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობს საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე), რომელსაც ირჩევენ საბჭოს წევრები თავისი შემადგენლობიდან, ამავე საბჭოს უფლებამოსილების ვადით.
7. თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას, მისივე დავალებით, ასრულებს საკოორდინაციო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.
8. თავმჯდომარე იწვევს და უძღვება საკოორდინაციო საბჭოს სხდომას.
9. საკოორდინაციო საბჭოს სხდომები ტარდება წელიწადში ორჯერ. ასევე, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია საკოორდინაციო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა ცენტრის დირექტორის მიერ ან საკოორდინაციო საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნის საფუძველზე თავმჯდომარის მიერ.
10. საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტი.
11. საკოორდინაციო საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. საკოორდინაციო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია თავმჯდომარის ხმა.



12. საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. იმ შემთხვევაში, თუ საბჭოს რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში.

13. საკოორდინაციო საბჭოს წევრები ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ საბჭოს მუშაობაში და დაიცვან იმ ინფორმაციის კონფიდენციალობა, რომელიც მათთვის ცნობილი გახდა საკოორდინაციო საბჭოს წევრის საქმიანობის განხორციელებისას.

14. საკოორდინაციო საბჭოს წევრთა საქმიანობა ხორციელდება ანაზღაურების გარეშე. უცხო ქვეყნის მოქალაქის საკოორდინაციო საბჭოს წევრობის შემთხვევაში, სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ცენტრი უფლებამოსილია აანაზღაუროს მისი მგზავრობის (საერთაშორისო და ადგილობრივი; შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით, მაგრამ არაუმეტეს ეკონომკლასის (ან მისი შესაბამისი კლასის) ბილეთის ღირებულებისა), დროებითი საცხოვრებლისა და დღიური ნორმის ხარჯები (150 ლარის ოდენობით).

15. საკოორდინაციო საბჭო უფლებამოსილია სხდომა გამართოს და საკითხები განიხილოს დისტანციური ელექტრონული ფორმატით შემდეგ შემთხვევებში:

ა) თავმჯდომარის გადაწყვეტილებით;

ბ) საკოორდინაციო საბჭოს წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით;

გ) ცენტრის დირექტორის მოთხოვნით, თუ დისტანციური ელექტრონული ფორმატით საკოორდინაციო საბჭოს სხდომის ჩატარება გამართლებულია ტექნიკური მიზეზით, ფინანსური ან/და სხვა გონივრული დასაბუთებით.

16. საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ფორმატით ჩატარების შემთხვევაში:

ა) სხდომის დღის წესრიგის, თარიღის/დროისა და განსახილველი საკითხების შესახებ საინფორმაციო მასალები წინასწარ ეგზავნებათ საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მათ ელექტრონულ ფოსტაზე, გაცნობის მიზნით;

ბ) საკოორდინაციო საბჭოს წევრები ინტერნეტის („სკაიპის“ ან სხვა საკომუნიკაციო აპლიკაციის) საშუალებით, ერთდროული წვდომით მონაწილეობენ სხდომაში;

გ) სხდომის ოქმის პროექტი ეგზავნება მონაწილე საკოორდინაციო საბჭოს წევრებს ელექტრონული ფოსტით;

დ) იმ შემთხვევაში, თუ დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართული საკოორდინაციო საბჭოს მონაწილე რომელიმე წევრი არ ეთანხმება სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს, მოითხოვოს მისი განსხვავებული აზრის დაფიქსირება სხდომის ოქმში;

ე) საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დისტანციური ელექტრონული ფორმატით გამართვის შემდგომ საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

17. საკოორდინაციო საბჭოს მუშაობის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას ახორციელებს ცენტრი.

18. მინისტრი საკოორდინაციო საბჭოს წევრს ვადამდე შეუწყვეტს უფლებამოსილებას:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

გ) სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარების ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობის შემთხვევაში, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

დ) ცენტრის დირექტორის წარდგინების საფუძველზე;

დ.ა) საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, თუკი ეს აფერხებს საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობას;

დ.ბ) საკოორდინაციო საბჭოს წევრის მოვალეობების შესრულების დროს მოპოვებული ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მესამე პირისათვის გამჟღავნების, გასაჯაროების ან/და პირადი ინტერესისთვის გამოყენების შემთხვევაში;

დ.გ) ისეთი ქმედების განხორციელების შემთხვევაში, რომელიც საფრთხეს უქმნის ცენტრის რეპუტაციას ან ზიანს აყენებს ცენტრის ინტერესებს;

დ.დ) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში, თუკი აღნიშნული თანამდებობრივი პოზიცია ამ მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე წარმოადგენდა ცენტრის დირექტორის მიერ საკოორდინაციო საბჭოს კონკრეტული წევრის კანდიდატურის წარდგენის საფუძველს.

19. საკოორდინაციო საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მინისტრი ცენტრის დირექტორის წარდგინებით ერთ თვეში ნიშნავს საკოორდინაციო საბჭოს ახალ წევრს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №78/ნ - ვებგვერდი, 31.05.2018წ.

მუხლი 6. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრი თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ერთეულების – სამსახურებისა და სამმართველოების მეშვეობით.

2. ცენტრის დირექტორის ბრძანებით ცენტრის სტრუქტურულ ერთეულში შეიძლება შეიქმნას სტრუქტურული ქვედანაყოფი სამმართველოს/სამმართველოების სახით.

3. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების/ქვედანაყოფის უფლებამოსილებები დამატებით შესაძლოა განისაზღვროს ცენტრის დირექტორის ბრძანებით, საჭიროების შემთხვევაში, სტრუქტურული ერთეულის/ქვედანაყოფის შიდა დებულების სახით.

4. ცენტრის სტრუქტურული ერთეულებია:

ა) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

ბ) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

გ) ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;

დ) რეესტრის სამმართველო;

ე) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველო;

ვ) საერთაშორისო განათლების სამსახური;



- ზ) იურიდიული სამსახური;
 - თ) ადამიანური რესურსების სამმართველო;
 - ი) საქმისწარმოების სამმართველო;
 - კ) შესყიდვებისა და ლოგისტიკის სამმართველო;
 - ლ) (ამოღებულია - 28.12.2017, №207/6);
 - მ) ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო;
 - ნ) შიდა აუდიტის სამსახური;
 - ო) საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველო;
 - პ) სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.
5. ცენტრის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომელთა რაოდენობა განისაზღვრება ცენტრის საშტატო განრიგით.
6. ცენტრის დირექტორის, მისი მოადგილის/მოადგილეების, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ მიღებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.
7. ცენტრის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს ცენტრის დირექტორის მიერ განსაზღვრული პირი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/6 - ვებგვერდი, 28.12.2017წ.*

მუხლი 7. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:
- ა) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველო;
 - ბ) უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველო;
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებს, გარდა მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციებისა, წარმოადგენს:
- ა) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება და განვითარება ბოლონის პროცესის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციების, მათ შორის, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG) მოთხოვნების შესაბამისად;
 - ბ) შესაბამისი კომპეტენციის მქონე უცხოური ორგანიზაციის მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შემუშავებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების ხელშეწყობა;
 - ბ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
 - გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
 - დ) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
 - ე) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - ვ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
 - ზ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
 - თ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს ფუნქციებია:
- ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ავტორიზაციის პროცესის განხორციელება, ავტორიზაციის პროცესის სანდოობისა და მისი შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა;
 - ბ) ავტორიზაციის სტანდარტების და პროცედურების განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - ბ¹) ავტორიზაციის პროცესის განხორციელების, ასევე, ავტორიზაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების მიზნით საერთაშორისო ექსპერტებთან, ორგანიზაციებთან და უცხოურ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა;
 - გ) ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების განვითარება და განხორციელება;
 - დ) ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება;
 - ე) ავტორიზაციის საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
 - ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადება.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს ფუნქციებია:
- ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად აკრედიტაციის პროცესის განხორციელება, აკრედიტაციის პროცესის სანდოობისა და მისი შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა;
 - ბ) აკრედიტაციის სტანდარტების და პროცედურების განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - ბ¹) აკრედიტაციის პროცესის განხორციელების, ასევე, აკრედიტაციის სტანდარტებისა და პროცედურების განვითარების მიზნით საერთაშორისო ექსპერტებთან, ორგანიზაციებთან და უცხოურ ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოებთან თანამშრომლობა;
 - გ) აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების განვითარება და განხორციელება;
 - დ) ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება, აკრედიტაციის პროცესში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის ხელშეწყობა;
 - ე) აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
 - ვ) საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/6 - ვებგვერდი, 28.12.2017წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №78/6 - ვებგვერდი, 31.05.2018წ.

მუხლი 8. პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები:

- ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესის განხორციელება, ამ პროცესების სანდოობისა და მათი შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების და პროცედურების განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- გ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების განვითარება და განხორციელება;
- დ) ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება;
- ე) საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადება;
- ვ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, განხორციელების მხარდაჭერა და მონიტორინგი;
- ზ) პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო- დოკუმენტების, მოდულების შემუშავებასა და განვითარებაში მონაწილეობა;
- თ) პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო- დოკუმენტების, მოდულების შემუშავების მეთოდოლოგიისა და წესის განვითარებაში მონაწილეობა;
- ი) საგანმანათლებლო რესურსებისა და მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადებისა და განვითარების ხელშეწყობა;
- კ) პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობა;

- კ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
- ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
- მ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
- ნ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
- ო) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- პ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
- ჟ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
- რ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 9. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები:

- ა) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესის განხორციელება, ამ პროცესების სანდოობისა და მათი შედეგების საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტების და პროცედურების განვითარებისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- გ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის ეფექტური მექანიზმების განვითარება და განხორციელება;
- დ) ექსპერტთა კორპუსის მართვა და განვითარება;
- ე) საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის რეკომენდაციებისა და სახელმძღვანელოების მომზადება;
- ვ) ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება;

- ვ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
- ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
- თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
- ი) ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება;
- კ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ლ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
- მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
- ნ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 10. რეესტრის სამმართველო

რეესტრის სამმართველოს ფუნქციები:

- ა) საქართველოს მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოება და მონიტორინგი;
- ბ) ლიცენზირებული/არავლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათში ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის წარმოება/დამუშავება;
- გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების მობილობის პროცესის ადმინისტრირება;
- დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, სახელმწიფო დაფინანსების



გაცემის პროცესის ხელშეწყობა;

ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პირის მიერ მიღებული განათლების აღიარების/ნამდვილობის დადასტურების პროცესის ხელშეწყობა;

ე¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;

ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;

ზ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;

ი) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

კ) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შედგენილ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმება და მასზე შესაბამისი რეაგირება, კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოსთან თანამშრომლობით;

ლ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

მ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;

ნ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 11. კვალიფიკაციების განვითარების სამმართველო

კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს ფუნქციებია:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქმიანობის განხორციელება;

ბ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის განვითარება და შესაბამისი წინადადებების მომზადება;

გ) „მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის“ კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავებისა და განვითარების ღონისძიებების მართვა;

დ) კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და საერთაშორისო დონეზე კვალიფიკაციების თავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფად შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა;

ე) პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების, მოდულების შემუშავების მეთოდოლოგიისა და წესის განვითარება;

ვ) პროფესიული სტანდარტების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების, მოდულების შემუშავების/გადამუშავების პროცესის მართვა, წინადადებების მომზადება და ცენტრის დირექტორისათვის წარდგენა;

ზ) სწავლის სფეროს განსაზღვრასა და კვალიფიკაციის ფორმირებასთან დაკავშირებული დასკვნების მომზადება;

თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საჯარო განხილვებში და დარგობრივი საბჭოების სხდომებში მონაწილეობა;

ი) არაფორმალური განათლების აღიარების მეთოდოლოგიისა და წესის შემუშავება, დანერგვის ხელშეწყობა და მონიტორინგი;

კ) სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება;

ლ) კვალიფიკაციების რეესტრის შექმნა/წარმოება;

მ) საერთაშორისო გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება;

ნ) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შედგენილ სპეციალურ ანკეტა-კითხვარში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმებისა და მასზე შესაბამისი რეაგირების მიზნით რეესტრის სამმართველოსთან თანამშრომლობა;

ნ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;

ო) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;

პ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;

ჟ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;

რ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;

ს) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

ტ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;

უ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №78/ნ - ვებგვერდი, 31.05.2018წ.

მუხლი 12. საერთაშორისო განათლების სამსახური

საერთაშორისო განათლების სამსახურის ფუნქციებია:

ა) მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება;

ბ) ევროპული საინფორმაციო ცენტრებისა და ეროვნული აკადემიური აღიარების საინფორმაციო ქსელთან (ENIC-NARIC Network) კომუნიკაცია და კოორდინაცია;

გ) საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურება;

დ) საქართველოში მიღებული განათლების აღიარება;



- ე) განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული დიპლომის/დიპლომის გაცემის უზრუნველყოფა;
- ვ) სამინისტროს და მის სისტემაში შემავალი ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტების, აგრეთვე საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში გაცემული დოკუმენტების აპოსტილით დამოწმების/ლეგალიზაციის უზრუნველსაყოფად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;
- ზ) დოკუმენტბრუნვის წარმოება, მათ შორის, დოკუმენტაციის არქივისათვის გადასაცემად მომზადება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესების დაცვით;
- თ) შესაბამისი სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღიარება;
- ი) განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ენობრივი სისწორის შემოწმება;
- ი¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
- კ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
- ლ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
- მ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა, მათ შორის, მოქალაქეებისათვის/განმცხადებლებისათვის;
- ნ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით, საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ო) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
- პ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
- ჟ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.*

მუხლი 13. იურიდიული სამსახური

1. იურიდიული სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:
- ა) სამართალშემოქმედების სამმართველო;
- ბ) დავების სამმართველო.
2. იურიდიული სამსახურის ფუნქციებს, გარდა მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციებისა, წარმოადგენს:
- ა) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
- ბ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
- გ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
- გ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგეგმილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
- გ²) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
- დ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
- ე) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
3. სამართალშემოქმედების სამმართველოს ფუნქციებია:
- ა) ცენტრის შინაგანაწესისა და ცენტრის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა შიდა სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;
- ბ) ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება და ნორმატიული ბაზის სრულყოფა;
- გ) ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულების გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობასამართლებრივი კუთხით;
- დ) (ამოღებულია - 28.12.2017, №207/ნ);
- ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება.
4. დავების სამმართველოს ფუნქციებია:
- ა) დადგენილი წესით ცენტრის წარმომადგენლობის უზრუნველყოფა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა და სასამართლოში;
- ბ) საკუთარი საქმიანობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ღონისძიებებში ჩართულობა.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.*

მუხლი 14. ადამიანური რესურსების სამმართველო

ადამიანური რესურსების სამმართველოს ფუნქციებია:

- ა) ცენტრის საკადრო პოლიტიკის წარმართვა საქართველოს კანონმდებლობისა და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით;
- ბ) ადამიანური რესურსების მოზიდვისა და შერჩევის პროცესის ორგანიზება, შრომითი ხელშეკრულებების პროექტის მომზადება;
- გ) საკადრო შინაარსის დოკუმენტაციის ადმინისტრირება;



- დ) თანამშრომელთა პირადი საქმეების ფორმირება და მართვა;
 - ე) თანამშრომელთა შეფასების პროცესის ორგანიზება და განხორციელება;
 - ვ) თანამშრომელთა კორპორატიული კულტურის ამაღლებისა და პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების ინიცირება და ორგანიზება;
 - ზ) სტაჟირების პროცესის ორგანიზება და წარმართვა;
 - თ) თანამშრომელთა მიერ ცენტრის შინაგანაწესითა და ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;
 - ი) თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისათვის შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება;
 - კ) ექსპერტთა შერჩევისა და საქმიანობის პროცესის ხელშეწყობა ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობით;
 - კ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
 - ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
 - მ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
 - ნ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - ო) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
 - პ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
 - ჟ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.*

მუხლი 15. საქმისწარმოების სამმართველო

- საქმისწარმოების სამმართველოს ფუნქციებია:
- ა) საქმისწარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად;
 - ბ) ცენტრის საქმისწარმოების მონიტორინგი და კომპეტენციის ფარგლებში სტატისტიკური მონაცემების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი სამსახურებისათვის რეაგირების მიზნით;
 - გ) ცენტრის საქმეთა ნომენკლატურის შესაბამისად საარქივოდ მომზადებული დოკუმენტაციის შემოწმება და ჩაბარება, არქივში დაცული მასალების გაცნობისა და ასლების გაცემის უზრუნველყოფა;
 - გ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
 - დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
 - ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
 - ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
 - ზ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - თ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
 - ი) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
 - კ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.*

მუხლი 16. შესყიდვებისა და ლოგისტიკის სამმართველო

- შესყიდვებისა და ლოგისტიკის სამმართველოს ფუნქციებია:
- ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად სახელმწიფო და სხვა სახის შესყიდვების (შემდგომში - შესყიდვები) დაგეგმვა და განხორციელება;
 - ბ) შესყიდვების პროცესების მონიტორინგი და ანალიზი;
 - გ) შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების მომზადება და ამ ხელშეკრულებების პირობების შესრულების მონიტორინგი;
 - დ) ანგარიშების წარდგენა მიმდინარე შესყიდვებთან დაკავშირებით;
 - ე) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და ცენტრის შიდა საქმიანობის მომწესრიგებელი აქტების შესაბამისად ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური რესურსების დაგეგმვა, მომარაგება, შენახვა, განაწილება, აღრიცხვა, მოვლა და განახლება;
 - ვ) საწყობის მართვა;
 - ზ) ცენტრის ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის პროცესის დაგეგმვა და განხორციელება;
 - თ) ცენტრის ავტოპარკის მართვა და მისი გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო სამუშაოების ორგანიზება, ასევე მძღოლების მიერ საკუთარი მოვალეობების დადგენილი განრიგის შესაბამისად, კეთილსინდისიერად შესრულების მონიტორინგი;
 - ი) საკომუნიკაციო და ელექტრონული ტექნოლოგიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
 - კ) ცენტრის უძრავი ქონების მოვლა - პატრონობა;
 - ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
 - მ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
 - ნ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული



რეაგირება;
ო) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
პ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
ჟ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
რ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
ს) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 17. ამოღებულია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 18. ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველო

ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს ფუნქციებია:
ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრის მიმდინარე ფინანსური საქმიანობის წარმართვა;
ბ) ცენტრის ბიუჯეტის პროექტის მომზადება;
გ) ცენტრის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;
დ) ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება და ბალანსის შედგენა;
ე) ცენტრის პროექტების წინასწარი ფინანსური ანალიზი;
ვ) ცენტრის მომსახურების საფასურების განსაზღვრა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
ზ) ცენტრის ფინანსური ანგარიშგების მომზადება;
თ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად ქონების მიღება/გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება, გარდა სახელმწიფო შესყიდვებისა;
თ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
ი) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
კ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
ლ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
მ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
ნ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
ო) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
პ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 19. შიდა აუდიტის სამსახური

შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციებია:
ა) „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ და „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და ცენტრის შიდა საქმიანობის მარეგულირებელი აქტების შესაბამისად აუდიტის განხორციელება;
ბ) ცენტრის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება / მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება;
გ) კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სტრუქტურული ერთეულების მხარდამჭერი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება მათი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისათვის;
დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობა;
ე) ცენტრში სამართალდარღვევის ფაქტის, სამსახურებრივი გადაცდომის ან / და ცენტრის მიზნებთან შეუსაბამო ქმედების არსებობის შემოწმება და გამოვლენა, მათი გამომწვევი ან/და ხელშემწყობი მიზეზების დადგენა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, დასკვნის მომზადება და დირექტორისათვის წარდგენა;
ვ) საიდუმლო საქმისწარმოების განხორციელება, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაბამის ინფორმაციასა და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული საიდუმლოების რეჟიმის დაცვის უზრუნველყოფა;
ვ¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;
ზ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
თ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
ი) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
კ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
მ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.



მუხლი 20. საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველო

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ფუნქციები:

- ა) ცენტრის სამოქმედო გეგმიდან გამომდინარე, საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის განსაზღვრა და განხორციელება;
 - ბ) ცენტრის ოფიციალური ვებგვერდის, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული ფოსტის ადმინისტრირება;
 - გ) ცენტრისა და ცენტრის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფის მიზნით;
 - დ) ცხელი ხაზის ადმინისტრირება;
 - ე) მასშტაბის კომუნიკაციის, ცენტრთან და ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებით ნებისმიერი ინფორმაციის გაცემის პროცესის ორგანიზება;
 - ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემის და ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების უზრუნველყოფა;
 - ზ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
 - თ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
 - ი) კომპეტენციის მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - კ) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;
 - ლ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
 - მ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

მუხლი 21. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური

1. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური შედგება შემდეგი სტრუქტურული ქვედანაყოფებისაგან:
 - ა) სტრატეგიული განვითარებისა და ანალიზის სამმართველო;
 - ბ) საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველო.
2. სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ფუნქციებს, გარდა მასში შემავალი სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციებისა, წარმოადგენს:
 - ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული/წარმოებული ინფორმაციის მიწოდება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირისათვის;
 - ბ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცენტრში შემოსულ კორესპონდენციებზე დროული რეაგირება;
 - გ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულებისა და დაინტერესებული პირების ინფორმირება და შესაბამის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზება/ჩატარება და კონსულტაციების გაწევა;
 - დ) კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით საკუთარი საქმიანობის ანალიზი, საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებისა და ეფექტიანობის გაზრდისათვის რეკომენდაციების შემუშავება;
 - ე) ცენტრის ფუნქციებიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ცენტრის სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან თანამშრომლობა;

ე¹) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში დადგენილი ღონისძიებების ეფექტიანად განსახორციელებლად ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოსთან თანამშრომლობა;

 - ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების შესრულება;
 - ზ) ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
3. სტრატეგიული განვითარებისა და ანალიზის სამმართველოს ფუნქციებია:
 - ა) ცენტრის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განვითარება, განახლება და მათი შესრულების მონიტორინგი;
 - ბ) ცენტრის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის მოდელის დანერგვა (ტრენინგები, კონსულტაციები, ვალიდაცია), ადმინისტრირება და შესაბამისი მასალების (საინფორმაციო, გზამკვლელები) განვითარება;
 - გ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში განვითარებაზე ორიენტირებული მართვის მოდელის დანერგვის ხელშეწყობა (ტრენინგები, კონსულტაციები, ვალიდაცია, შესაბამისი მასალების განვითარება);
 - დ) ცენტრში მართვის ახალი მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით წინადადებების შემუშავება;
 - ე) ცენტრის სამუშაო პროცესებისა და პროცედურების ეფექტურობისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა და ამ მიზნით საჭირო ღონისძიებების, მათ შორის, შესაბამისი კვლევების განხორციელება;
 - ვ) ცენტრის ინიციატივების და პროექტების მიზანშეწონილობის ანალიზი;
 - ზ) (ამოღებულია - 28.12.2017, №207/ნ);

თ) ცენტრის საქმიანობის შესახებ ანგარიშების შემუშავების წესის განსაზღვრა და ანგარიშების მომზადების კოორდინაცია;

ი) მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ცენტრის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
4. საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს ფუნქციებია:
 - ა) ცენტრის სტრატეგიის შესაბამისად საერთაშორისო ორგანიზაციებში/ასოციაციებში/ქსელებში ცენტრის გაწევრიანების პროცესის წარმართვა და მათთან თანამშრომლობის კოორდინაცია;
 - ბ) ბოლონის პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროსთან თანამშრომლობა;
 - გ) საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების რეკომენდაციების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში გავრცელების მიზნით ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მათი განხორციელების გზების დასახვა;
 - დ) განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი საერთაშორისო პროექტების დაგეგმვა, განხორციელება და კოორდინაცია;
 - ე) საერთაშორისო აკრედიტაციის განხორციელების ხელშეწყობა და ამ მიზნით საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის კოორდინაცია;
 - ვ) ევროკავშირისა და განათლების სფეროში მისი პოლიტიკის შესახებ ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელება;
 - ზ) ევროინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით განათლების სფეროში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების მონიტორინგის



პროცესის ხელშეწყობა;

თ) ცენტრის სხვა სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლობის კოორდინაცია საერთაშორისო პარტნიორებთან და დონორ ორგანიზაციებთან;

ი) ცენტრის საქმიანობასთან დაკავშირებული საერთაშორისო შეფასების პროცესების კოორდინაცია;

კ) ცენტრის ორგანიზაციულ განვითარებასთან დაკავშირებული პროექტებისა და პროგრამებისათვის დონორებისა და ფონდების მოძიება და მოზიდვა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №207/ნ - ვებგვერდი, 28.12.2017წ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 31 მაისის ბრძანება №78/ნ - ვებგვერდი, 31.05.2018წ.

თავი IV

ცენტრის ქონება და დაფინანსება, სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 22. ცენტრის ქონება

1. დასახული მიზნების განსახორციელებლად და დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად ცენტრს აქვს ქონება, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

2. ცენტრის ქონება აისახება მის დამოუკიდებელ ბალანსზე.

მუხლი 23. ცენტრის დაფინანსება და ანგარიშგება

1. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების საფასური;

გ) მიზნობრივი კრედიტები და გრანტები;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) საჩუქრისა და შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

2. ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს სამინისტროს.

3. ცენტრის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის.

4. ცენტრის წლიურ ბალანსს ამოწმებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 24. კონტროლი ცენტრის საქმიანობაზე

ცენტრის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს სამინისტრო „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

თავი V

ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი, რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

მუხლი 25. ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი, ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია

1. ცენტრის დებულებაში ცვლილებების შეტანა, მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ცენტრის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა სახელმწიფოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

